კვირა, 18 ივნისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
ტფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეშმაკის მათრახი

№ 25

1917

ტრაპიზონის გზაზე.



ხელოვნური ხიდი ტრაპიზონის რკინის გზისა.

ეშმაკისათვის აუცილებელია ერთი

## პარტიული ფოტოგრაფიული

## აპარატი.

ამხანაგებო! ნუ დაჰკარგავთ ბედნიერ შემთხვევას შესძინოთ მას საჭირო იარაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა ფელეტონი

## „მკვდარი სულები“

— თქვენი სახელი?

— ტიმოთე.

— გვარი?

— ბლაჩუა.

— აქ კი ბლაჩუა რამოდენიმე პირია— დინჯათ წარმოსთქვა ბ-ნმა გამომძიებელმა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ტრაპიზონის რკინის გზის საქმეთა რევიზია.

— დიახ, სხვებიც არიან. მიუგო სამოციოდ წლის მუშა ტიმოთე ბლაჩუამ.

— სად არიან ახლა ისინი, რატომ არ გამოცხადდენ?

— ჯერ ვერ მოვლენ ბატონო.

— მაშ როდის ინებებენ მობრძანებას? ცოტა მრისხანე კილოთი წარმოსთქვა გამომძიებელმა— ვაცნობეთ, ვთხოვეთ და მეტი რა გვექნა.

— ორი მათგანი ბატონო მეორეთ მოსვლამდე ვერ გეახლებიან.

— მეორეთ ჩვენ მაგათთვის აქ ვერ ჩამოვალთ.

— არც არის საჭირო.

— თუ საჭირო არ არის მაშ რაღას გვალაპარაკებთ.

— მე სხვა მეორეთ მოსვლაზე მოგახსენებთ.

— ვერაფერი გამიგია.

— მოგახსენებთ ბატონო და გაიგებთ. გიორგი ბლაჩუა ეგ მამა ჩემი გახლდათ. ჩემი სრული სახელწოდება ასე დაიწერება: ტიმოთე გიორგის-ძე ბლაჩუა.

— მერე რისთვის არ მოვიდა მამა თქვენი...

— მოგახსენებთ. მამაჩემს სრულიად უბრალო მიზეზმა შეუშალა ხელი თქვენთან გამოცხადებულიყო, ის გარდაიცვალა.

— როგორ! ნუთუ დღეს გარდაიცვალა? გუშინ მას გზაზე უმუშავია.

— აბა რასა ბრძანებთ! როდესაც ცხონებული მამა ჩემი, გიორგი დავითის-ძე ბლაჩუა გარდაიცვალა, მე 35 წლისა გახლდით. ახლა კი, როგორც ხედავთ სამოც წელს ბევრი აღარ მიკლია.

— მაშ როგორ მოხდა...

— რა მოგახსენოთ, კარგათ ვერ მახსოვს, როგორ მოხდა მისი სიკვდილი. ამბობდენ რაღაც სოფლური წამალი დაალევიეს და იმან იმსხვერპლაო.

— მე მაგას არ ვკითხულობ, როგორ მოხდა, რომ 25 წლის წინეთ განსვენებულ ადამიანს აქ გუშინ გზაზე უმუშავნია? მე აი ეს მაინტერესებს.

— რაღა მამა ჩემს ჩაეძიეთ ბატონო, განა მიცვალებულთაგან მარტო ის მუშაობს? ჩვენი ოჯახიდან მხოლოდ ორი მიცვალებული ურევია: მამა ჩემი გიორგი და ბაბუა ჩემი დავითი. სხვა ოჯახებიდან ხუთი და ექვსი მიცვალებული მუშაობს. პაპა ჩემი დავით გიორგის-ძე ბლაჩუა 54 წლის წინეთ გარდაიცვალა. მთელ სოფელში ცნობილი ვაჟკაცი იყო თურმე.

გამომძიებელი ერთობ უმანკო კაცი იყო და ვერ გაეგო, თუ როგორ შეუძლია მკვდარ კაცს რკინის გზაზე მუშაობა. იმას კარგათ ესმის მამულიშვილური თავდადება, როცა სამშობლო საფრთხეშია; ესმის, რომ ყოველი მოქალაქე ვალდებულია აღელდეს, როცა მამულს განსაცდელი მოელის, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ ცოცხლებზე ითქმის და აქ კი სამშობლოს სიყვარულს მკვდრებიც სამარიდან აუყენებია და მერე ისეთი მკვდრები, რომელთა ძვლებიც კი საეჭვო მდგომარეობაში იქნება. მცირე ხნით ამხანაგი გამომძიებელი სრულიად დაატყვევა ამ საუცხოვო სურათმა და რომ ის ამჟამად მომკვდარიყო, ბედნიერი კაცი იქნებოდა.

— ახლა, ბატონო, სხვა ოჯახებიდან თუ ჩაიძიებთ ასი წლის მკვდრებიც გამოერევიან.

— გამაგებინეთ, ადამიანებო, როგორ შეუძლია მიცვალებულს მუშაობა. მთელი ქვეყანა მომივლია და ეს არსად გამიგონია.

— მერე ვინა სთქვა მუშაობენო. ისინი მხოლოდ ირიცხებიან.

— როგორ თუ ირიცხებიან?

— ანგარიშში ითვლებიან.

— აი, მაგალითად, ჩემი ოჯახიდან სამნი ვართ: ერთი ცოცხალი და ორი მკვდარი. მე ვიღებ დღეში ექვს აბაზს, ჩემი მკვდრები კი ორ-ორ აბაზს. მართალია მათაც იმდენივე ეძლევათ, რაც ცოცხლებს, მაგრამ განაწილება იმათი ჯამაგირისა მორიგებით ხდება. იმ 12 აბაზიდან, რომელიც მამა ჩემსა და პაპა ჩემს ეკუთვნის, ჩვენი „პოდრაჩიკი“ იღებს 8 აბაზს, ხოლო დანარჩენ ოთხ აბაზს მაძლევს მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც მათ კანონიერ მემკვიდრეს.

— ღმერთო ჩემო! განა შეიძლება ასეთი მტაცებლობა, ასეთი უსამართლობა?

— დიახ ბატონო! ასეთია ჩვენი უბედურება, მუშის ბედი! ასე უსამართლოთ და ყაჩაღურათ გვძარცვავენ. იმის მაგიერ რომ ჩემი მიცვალებულების კუთვნილის უმეტესი წილი მაინც ჩემთვის მოეცათ, ისინი რაღაც ორიოდ აბაზს წამოგვიგდებენ ხოლმე.

— ა?...

— მთხოვნელი ვარ, თუ სამართლიანობას დაიცავთ დამიბრუნოთ რაც მერგება ჩემი მკვდრების ნამუშევარი. მამა ჩემი მუშაობს მეთოთხმეტე თვეა, ხოლო პაპაჩემს გუშინ ხუთი თვე 'შეუსრულდა.

**მორიელი.**

---

## ჰოდრიადჩიკ-რიადჩიკების მოთქმა

($^1/_{000}$ % გამოკლებით)

ვაი ჩვენი ბრალი,
ეს დრო ღმერთგამწყრალი
თუ მოგვესწრობოდა,
სჯობდა ბარემ ადრე
(ზოგ ზოგებს მეტადრე)
სული გაგვძრობოდა.
ან სიცოცხლე განა
ღირს, როცა ქვეყანა
პირქვე გადაბრუნდა?
და თუ გვქონდა სადმე
სახეირო საქმე
წახდა გაგვიხუნდა?
ჰაიგიდი, წინათ
როგორ არხეინათ,
თავისუფლათ ლაღათ
ვატყავებდით მუშებს
მორჩილებს თუ ურჩებს
და ვერვინ ვაგლახად,
ვერას გვიბედავდა,
რადგანაც ხედავდა
ტახტზე იჯდა ნიკო,
და მუშების „სუდი"
შოლტ-მათრახის კუდი
და ციმბირი იყო.

დღეს კი ძალგიძს, რომა
ძველებრ ლანძღვა წყრომა
მუშას გაუბედო?!.
ათასი ჰყავს მცველი
(ახალი, თუ ძველი)
ერთგულ საიმედო.
ის დღე დაგადგება,
რომ თერთმეტი წყება
აგვძრეს მგონი ტყავი
და ნურც იმას ელი,
რომ გაგიჩნდეს მხსნელი
მშველელ-გამკითხავი.
კი, თუმც დღესაც ბევრი
მშრომელ კლასის წევრი,
ისევ ძველებურათ
თვალებ ახვეული
ბნელში გახვეული,
გვყავს ჩვენ საწველ ფურათ,
მაგრამ მაინც ძველათ
სჯობდა უეჭველათ!
რადგან ჩვენ იმ დროში,
ფული შევიძინეთ
თორემ მაზე წინეთ
ბევრს არ გვქონდა გროში.
თან მუშებსა ვყლეფდით
ვართმევდით, ვაკლებდით,
თან ძმურ კავშირს ვკრავდით,
ჩვენ ხაზინის მტრებთან,
ტეხნიკ ინჟენრებთან
და მას ერთად ვხრავდით
ფული ზვავდებოდა
გული ყვავდებოდა!
მტრებს არ ვახარებდით.
საქმეს ჩვენს აღებულს,
ერთხელ გაკეთებულს
ცხრაჯერ ვაბარებდით.
დღეს ამნაირ ხრიკებს
და ბევრს ჩვენგან უკვე
ბავშვიც კი გაიგებს
ძველებურს „ზედნადებს"
დღეს ველარა გვამატებს
უფსთა „სიუხვე"
აწ შვიდობით ჩვენო
ჯიბის დამამშვენო,

წყობილებავ ძველო!
შენი ერთგულ ყმებით
შპიკებ-ჟანდარმებით
ჩვენზედა მზრუნველო.
ვაი ჩვენი ბრალი,
სწორედ სატირალი
დადგა ჩვენთვის წუთი,
და ამიერიდან
ჩვენ ყოველი მხრიდან
გველის უფრო ცუდი.

კახი.

---

**ამხანაგებო!** გახსოვდეთ, რომ

ფოტოგრაფიული აპარატი

უფრო სწორათ იღებს სურათებს, ვიდრე თვით ეშმაკი.

---

# ჭრელი ამბები.

**სოლომონ მესამე.**

დღემდე კაცობრიობა მხოლოდ ორ სოლომონს იცნობდა: ა) ისრაელთა მეფეს, სოლომონ ბრძენს და ბ) ჩვენს სასიქადულო მგოსანს სოლომონ ზურგიელიძეს. დღეს მათ რიცხს ერთი სოლომონი კვლავ შეემატა. „სახალხო ფურცლის“ მე-880 ნომერში დაბეჭდილია:

**პატარა წერილი.**

ამხანაგო რედაქტორო! გულითად მადლობას ვწირავ ამხანაგ ვ. კაკაბაძეს, რომელმაც მომანდო მისგან გამოგზავნილი 2330 მან. დასახელებულ გაზეთთა შორის განაწილება. რამდენად დიდია პატივისცემა ამხანაგის მიერ, იმდენად ძნელია ამ მოვალეობის შესრულება. სოლომონის სიბრძნე იშვიათი საქმეა, ჩვეულებრივი განაწილება კი უთუოდ არც ერთ მხარეს არ დააკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა მე მაინც ეს ფული მინდა თანაბრად გაუნაწილო ორ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს, რომელიც საქართველოს ავტონომიის აზრს ინაწილებს: „ალიონსა“ და „ხალხის თავისუფლებას“ და სამს გაზეთს სოციალისტ-ფედერალისტებისას ამხ. ვ. კაკაბაძის აღნიშვნის თანახმად: „სახალხო ფურცელს“, „ზვ[illegible]ჩვენ მეგობარს“. ამგვარათ თითო გაზეთს შეხვდება 466 მან., რომელსაც მიიღებენ „სახალხო ფურც.“ რედაქციიდან.

კიტა აბაშიძე

მართლაც ახირებული ამოცანა მიუნდვია პატივცემული კომისარისათვის ბ-ნ ვ. კაკაბაძეს: 2330 მანეთის ხუთ **დასახელებულ** რედაქციათა შორის გაყოფა. არც ციფრი 0 იყოფა ხუთზე, არც ციფრი 3 და არც ციფირი 2. მაგრამ სოლომონის ნიჭი ტომარაში ხომ არ დაიმალება და აი კიტა აბაშიძეც სახელოვნათ გამოვიდა კრიტიკულ მდგომარეობიდან. მან მოახერხა და გაჰყო 2330 მანეთი ხუთ ნაწილათ.

დიახ! „სოლომონის სიბრძნე იშვიათი საქმეა“!

**„რევოლიუცია კახეთში“.**

გაზეთი „საქართველო“ საკმაოდ შეგნებულათ უყურებს თანამედროვე რევოლიუციონურ მომენტს და ერთი წვრილმანი ცნობაც არ გამოეპარება დიადი მოძრაობისა. აი რას ვკითხულობთ გაზეთის მე-117 ნომერში:

„მაისის 21 ბაკურციხეში ახლო-მახლო სოფლებმა გომართობა იდღესასწაულეს. დღესასწაულს, რასაკვირველია, წინანდელი ხალისი და სიმხიარულე არ ჰქონდა. მშვენიერი სურათი იყო დაქანებულ მინდორზე ჯირითი, სადაც ბ. კოტე ჭიმიაშვილმა საუკეთესო ცხენით თავი ისახელა. ნაშუადღევს ავდარმა ხელი შეუშალა დღესასწაულს და უმრავლესობა დაიშალა“.

ამაზე იტყვიან: „ქვეყანა ინგრეოდა, ტურას ქორწილი ჰქონდაო“. წარმოდგენილი გვაქვს რა მშვენიერი სანახავი იქნებოდა კოტე ჭიმიაშვილი, როცა „დაქანებულ მინდორზე ცხენს მოაჯ[illegible]ითებდა.

**ქალთა საკითხი.**

თავისთავათ ბუნებრივია და აკი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრებაც შეეხო ქალთა საკითხს.

პრესაში ამის შესახებ მართალია არაფერი თქმულა, მაგრამ სანდო პირთა გადმოცემით კამათში უმთავრესად ორმა ორატორმა მიიღო მონაწილეობა.

მომხსენებელი მგოსანი სანდრო, შანშიაშვილი, ამტკიცებდა, რომ ქალი 13 წლისა უკვე მომწიფებულია და მას უნდა მიეცეს უფლება მოქალაქეობრივი ცხოვრებისათ.

წინააღმდეგ ამ „სალი“ შეხედულებისა გაილაშქრა ნაციონალ-დემოკრატიის მარჯვენა ფრთის წარმომადგენელმა სოსიკო მერკვილაძემ, რომელმაც განაცხადა: ქალი თოთხმეტ წლამდე არაფრათ არ ვარგაო.

ამ ორი მთავარი მიმართულების მიხედვით პარტია გაიყო ორ ჯგუფათ: მენშევიკებათ და ბოლშევიკებათ.

**რა მიზეზია?**

გასულ კვირას გამოვიდა ორგანო კოოპერატივთა კავშირისა, ჟურნალი „კავშირი“.

იქა სწერია:

„განთავისუფლდა ჩვენი კოოპერაცია. მას გზიდან ჩამოეცალა ყოველგვარი დამაბრკოლებელი და ხელის შემშლელი პირობები და წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი გაეშალა. მიუხედავათ ამისა კოოპერაცია წინ სვლის მაგივრათ ჩამოქვეითდა, ხოლო ზოგან სიკვდილის პირზე მიდგა“.

რათ მოხდა ასე?“

მართლაც გასაკვირია, თუ რათ უნდა მომხდარიყო ასე. ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზი მოშორებულ იქნა: ჩამოეცალა რკინის გზა, ჩამოეცალა ზღვის გზა, ჩამოეცალა წეს-რიგი წარმოებაში, ჩამოეცალა ნიხრი საქონლისა და ბოლოს ჩამოეცალა თვით საქონელიც და მიუხედავათ ამისა კოოპერაცია მაინც ჩამოქვეითდა. დიდება შენს სახელს ღმერთო!

**უზრუნველყოფა**

სრულიად რუსეთის ყაზახთა ყრილობა პეტროგრადში შეიკრიბა და მსჯელობს. ამავე კრების შესახებ გაზეთი „ერთობის“ მოწინავეში სწერია (№ 68)

„დამსწრეთა შორის ხშირათ ხმები ისმოდა, რომ საჭიროა შედგენილ იქნას განსაკუთრებული ყაზახთა ჯარები, რომლებიც ზევით დასახულ მიზანს (ომის გამარჯვებით დამთავრებას) სასრულში მოიყვანენ და ამ გზით შინაურ, თუ გარეშე მტრიდან სამშობლოს დანგრევას უზრუნველყოფენ.

აშკარაა აქ რაღაცა კოჭლობს: ან პოლიტიკა, ან ტაქტიკა, ან კიდევ ქართული ენა, თორემ არა გვგონია „გარეშე მტერთაგან სახელმწიფოს დანგრევის უზრუნველყოფის“ მომხრე იყოს, თუნდაც რუსეთის ბურჟუაზია.

**სამართებელი.**

---

როგორ უნდა გავიგოთ სიტყვები:

## „პარტიული აპარატი“

ეს იმას არ ნიშნავს, თითქო პარტიული აპარატით ყველა პარტიის წევრს ექნეს სარგებლობის უფლება. არა. სიტყვა პარტიული ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ამ აპარატით ეშმაკი გადახატავს მხოლოდ პარტიის წევრებს.

---

## საგარეშო დეპეშა

**ტრაპიზონი.** გამოცხადებული თავისუფლებით განუსაზღვრელათ სარგებლობს და თავისუფლად ატყავებს მუშებს მოიჯარადრე ეძიევი. ამ დარგში მან რეკორდი აიღო. ვერავითარი მასხარაშვილები, კვირტია ჯიბიროვები დათუაშვილები მასთან ცხვირს ველარ გამოჰყოფენ. „აღმასრულებელი“ კომიტეტი სასტიკ ნეიტრალიტეტს იცავს. ბოროტი ენები ამბობენ, რომ მან ერთხელ მიიღო ერთ რომელიღაც აღის წინააღმდეგ „ენერგიული“ ზომები, მაგრამ დაჭარცხდა შინა „ლაღატით“ და მას შემდეგ არჩია საბერძნეთის ტაქტიკას დასდგომოდაო.

**კახი.**

---

## ქუთაისი

**X-ბს.**

ან მე არა ვარ გაჩენილი ამა დროისთვის,
ან ვერ აღლე ალღო წყეულს წუთი სოფელსა:
ირგვლივ სიფლიდე, მეტიჩრობა, გაუტანლობა,
სხვას ვერას ხედავს ჩემი თვალი გასართობელსა.

დღემდის სანათით რომ გეძებნათ სოციალისტი,
ვერ იპოვიდით და ფიქრშიაც აღარა სჩანდა,
დღეს კი, უალი, ვენაცვალე ყოვლის შემძლეა,

და ვით ხოლერის ბაცილები ისე გამრავლდა.
წინათ მთხოვარა, ხელ გაწვდილი მოსიარულე,
ეხლა წითელსა დროშას ხელში დააფრიალებს,
ოი უფალო, ერთი რისხვა რა გაგიჭირდა,
რომელიც ამათ ამ ქვეყანად გაატიალებს?!
ხუთმეტი წელი ვინც ებრძოდა თავისუფლებას,
იგი რას ამბობს? „მეცა ვიბრძოდი“, „მეც ვხნავდიო“,
წინათ გებრძოდით, მაგრამ ისე, ვით კატა თაგვსა
გათამაშებდი და თამაშით გულს გიკლავდიო!!
ხუთმეტი წელი ვიოი მებრძოლი ჩვენ გვევლინება,
რევოლუცია თითქმის ამათ დაატრიალეს,
და ერთი კაცი ციმბირიდან არ ჩამოსვლიათ,
აბა მითხარით რა აყეფებს, რა აღრიალებს.
თებერვლის ოცში ვინც იძახდა „საქართველომო
უკვე შეიგნო თუ ვინ არის მისი დამცველი“
მარტის პირველ`ი, როს ქვეყანა გადატრიალდა,
მათ არ ღებულობს ქართველების ერთი სოფელი.
მაგრამ ეს გმირნი დონკიხოტნი, გულს არ
იტეხენ,
ისევ ებრძვიან ქარის წისქვილს ხმალ ამოწვდილი,
ჯერ გაიმარჯვეს „სამოთხის“ და „რეიმსის“*) წინა
და ქვაფენილზე უხვათ adis ნასრესი ბდღვირი.
სად ხარ სიწითლევ, ზოგ-ზოგ სახეს რომ ერიდები?
ნუ თუ არა გაქვს ნიადაგი მათ შიბლის კანზე?
რათ განდგომილხარ, მიდი, მიდი და შეეჩვიე,
ნულარ მამღერებ, შემიბრალე, მე სევდის ხმაზე!
კონფერენციაც მოიწვიეს, ზოგიც აპირებს,
სჩანს იმათ უნდათ ჰპოვონ ერთი გასართობელი,
თორემ რად ზელენ ჰაერს ტყვილათ ტუჩის ნაპირზე
ველარ გაიგეს, რომ აღსრულდა მათი ყოველი!..
კუდაბზიკებო, კვლავ მონახეთ კაბინეტები:
სად თქვენ, სად ქუჩა და სად ბრძოლა რევოლუცია,
ნუ, ნუ გრცხვენიათ თქვენი სახე სწორათ გვიჩვენეთ,
მდგომარეობას ნუ უარყოფთ, რაც მოუცია.

**სატანა.**

---

რისთვის უნდა ვიზრუნოთ ეშმაკისათვის კარგი

## პარტიული აპარატის

შეძენაზე?

იმისთვის, რომ უკეთესად იყოს ჩვენი სურათი დახატრული „ეშმაკის მათრახის“ ფურცლებზე

---

*) კაფეების სახელებია.

# ლოთობა

პირველ კითხვათ, როგორც პარტიულ კომიტეტში, ისე აღმასრულებელში და მით უფრო მუშ. და ჯარის კაცთა საბჭოში „ლოთობა“ იყო დასმული. მე, როგორც მუდმივი წევრი ყველა ამ კრებებისა, ხსენებულ კითხვაზე სათანადოთ მომზადებული გამოვიდოდი, მარა ჩემს ორატორულ ნიჭს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოში ამ კითხვაზე რომ ფრთა გავაშლეიინე მე თვითონ გამიკვირდა.

— „მათრობელა ზღვა, — დავიწყე მე, — რომელმაც დღემდის რუსეთის მრავალ მილიონი ხალხი თავის შხამიან ტალღებში გამოახრჩო, როგორც ზნეობრივ-გონებრივათ ისე ქონებრივათა და ფიზიკურადაც (პოლიტიკურად კი დამავიწყდა აქ მედიცინური საბუთებიც მოვიყვანე) ლაპარაკის დროს თან და თანობით ხმას მაღლა უწევდი და ბოლოს ისე შევედი როლში, რომ თითონვე შევატყე მის მნელთა უხერხულეობა და სიტყვა ისე მოკლეთ სხარტათ და მოულოდნელათ შევსწყვიტე, რომ „შესაფერი“ ტაშისცემით დამაჯილდოვეს, მეტადრე ქართულის არა მცოდნე ამხანაგმა ჯარისკაცებმა. (მე კი, როგორც ყოველთვის ეხლაცა ქართულად ვრეჩობდი) აქედანა მე ის დასკვნა გამოვიტანე რომ აპლოდისმენტი მხოლოთ და მარტო სიტყვის მოულოდნელად გათავებამ გამოიწვია, რადგან კრების სმენა უეცრათ გავანთავისუფლე საჯლისაგან.

კითხვა გარკვეულათ აღიარეს და წინადადებები მოითხოვა თავმჯდომარემ. მიიღეს წინადადება რომელიც ამბობდა: იქამდე დატუსაღება მთვრალის სანამ ღვინის გამყიდველსა არ გვიჩვენებს. მეორე და მესამე ჯერ დათრობისათვის განსაზღვრული ციხე და გადასახლება, ხოლო ღვინის გამყიდველს პირველ შემთხვევაში სამი თვის ციხე (ერთს ამავე კრებაზე მიუსაჯეთ სამი თვე ციხე „какъ источнику пянства“) შემდეგ კი სხვა და სხვა უდიდესი სასჯელი.

კრებიდან დაბრუნებულს ამხ. მიჯნურაძე შემხვდა და მთხოვა ჩაიზე სახლში წავყოლოდი. დავთანახმდი, მარა როცა მიჯნურაძისას მივედი მივხვდი რომ წვეულება, რომელიც იქ დამხვდა, ჩაით არ დაკმაყოფილდებოდა. არ მესიამოვნა რადგან საომისოთ არ ვიყავი მორთული მეტადრე ჩემი ნათხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი „ფაფანაკი“ (?) (ტუჟურკა) არა ჩვეულებრივ შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე, გრძელი წაკეცილი სახელოთი და სხვა და სხვა .. რაღა დროს მორცხვობა იყო გავერთე სტუმრებში, თუმცა ჩემი როლი მათში კლოუნობას უფრო წააგავდა ვინემ „კომპანიონს“. სუფრა გაშალეს და ზედ ბოთლებით „ჩაი“ (ნამდვილ ჩაისფერი ღვინო) დააწყეს. მე მაშინვე მომაგონდა ლოთობის შესახებ საბჭოში ჩემი წინადადება და აგრეთვე ჩემი ყოფაქცევა ღვინის სმის დროს. ვიგრძენი საშიშროება, მარა გამოსავალი არსაით იყო. დავმორჩილდი ბედს და მივიღე პირველი ჭიქა თამადისაგან დიასახლისის სადღეგრძელო. გაიმართა ლხინი, ქალიშვილები საკრავებზე ამღერდენ, ყმაწვილები კიდევ მათ აყოლებდენ სირინოზის ხმას. ერთი სიტყვით მე პირველ ჭიქისთანავე დავკარგე ლოთობაზე საშიშროება.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, ყოველგვარი სიამოვნებით მთვრალი სუფრიდან ავიშალენით და წამოვედით. მე ამხანაგები მხარ და მხარ მომყვებოდენ, რადგან იცოდენ სიმთვრალეში ძველს როგორც წესწყობილებას ისე არსებულს ყველაფერს ვებრძვი და მიწასთან ვასწორებ. მარა ეზოდან ქუჩაზე გამოსვლამდი რადგან არ მოვიდენ მე საშვალება მომეცა მასპინძლის ეზოს ხიდის (ბოგა) ძველი მდგომარეობა შემეცვალა და ახალს ფორმაზე გადამებრუნებია. მახლობლები რასაკვირველია მიხვდენ თავიანთ შეცდომას და ძველებურ მოტირალივით ორსავე მხარში მაგრად მოვყავდი მახლობლებს და ჩემი გული სევდითა და ბოღმით ივსებოდა, როცა ვხედავდი ქუჩებში ძველი წყობილების დროს აგებულ ლობეებს, სკამ ლოგინებს, ხიდე ბოგირებს და სხვა. მიმათრევდენ სახლისკენ და ჩემი პრინციპის წინააღმდეგ ყოველივე ეს უვნებლათ რჩებოდა, რაც ჩემი აზრით რეაქციას მოასწავებდა. მარა მხლებლები ისე ლონივრები აღმოჩნდენ, რომ ყოველგვარი ჩემი ბრძოლა ამაო გამოდგა თავი გამეთავისუფლებია. ხერხი სჯობია ღონესაო, და თითქო დავნებდი ჩემს დარაჯებს. ამათაც ხელი ცოტათი შემიშვეს. მეც ამით ვიდროვე, მოულოდნელად დაუსხლტი ხელიდან და გავექანე იქვე მედიდურად მდგომ ძველი წყობილების თანამგრძნობ ლობისაკენ, რომელსაც გმირულად დავეძგერე მხარით და სანამ ჩემი მდევრები მომასწრობდენ მოწინააღმდეგეც (ლობე) დავამარცხე—[illegible] მეც მივიღე სერიოზული ჭრილობა (მხარი მოვიტეხე) ყველა ამით იმიტომ შეგაწუხეთ, პატივცემულო მოქალაქენო, რომ მე დისციპლინის კაცი ვარ. დადგენილებას ვერ გადუხვევ. სასჯელს, რომელიც საბჭომ დაადგინა ლოთობის შესახებ, ჩემის მხრივ ვიხდი. არა თუ „გამოფხიზლებამე დატუსაღება,“ მე მგონი შემოდგომამდეც ტუსაღათ ვარ სხვა და სხვა ექიმ ქალებისა და მამა კაცების მხედველობის ქვეშ. ამ წერილს მარცხენა ხელით ვსწერ, მარა მე მოვითხოვ ამხ. მიჯნურაძის დატუსაღებას какъ источника пянства.

**ბუტუნა.**

---

## „ეს ფოტოგრაფის მანქანა

პატარა იარაღია.
ისე ლამაზათ ხატავს რომ
თითქო შიგ იჯდეს მხატვარი.
იგი სჭირია, ვინც მისდევს
სურათის წერის საქმეებს“.

**სოლომონ ზურგიელიძე.**

---

# ორი უდიდესი დღე.

უდიდესი დღე წელიწადში მხოლოდ ერთხელ არის, თუ დღის სიდიდეს ჩვენ ასტრონომიული თვალთა ხედვის ისრის წერტილით განვსჯით; ეს გახლავთ 10 ივნისს, როცა მზე ზეცის უმაღლეს წერტილს აწევს, ანუ ასტრონომიულათ თუ ვიტყვით, როცა ის ჩრდილოეთის ტროპიკს დაადგება.

შეიძლება ეს ზოგიერთი ამხანაგისათვის ცოტად თუ ბევრათ გაუგებარია და ამ შემთხვევაში მიუთითებთ მას ნ. კალანდაძის ასტრონომიისაკენ.

დიახ, ათი ივნისი უდიდესი დღეა მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ წლევანდელი ათი ივნისი ორი მხრით გამოდგა უდიდესი. თოთქო განზრახო, სწორეთ ამ დღეს გაიხსნა ამიერ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული კონფერენცია.

მას შემდეგ, რაც ეშმაკათ შევდექ და მაშასადამე ლოცვა ჩემს ყოველდღიურ მოვალეობათ გავიხადე, ჩემს ლოცვაში მეუფის წინაშე მაქსიმუმ მოთხოვნილებათ დავისახე—თავისუფალი სოციალ-დემოკრატიულ კრების ნახვა. ალბათ სხვაც ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი თავი უფალი ს. დემ. კონფერენცია



ნახატი შ. ქიქოძისა.

1) ნოე რამიშვილი, 1) მაქსიმოვი, 3) თევზაია, 4) ელჩანინოვი, 5) ჯემალბეგოვი, 6) გრიგ. ურატაძე.

მთხოვნელი ჰყავდა ამავე საგანზე მამა-ზეციერს, თორემ პირადათ ჩემთვის მას არასოდეს არაფერი აუსრულებია*). წელს კი, წლის უდიდეს დღეს გა-მითენდა ცხოვრების უდიდესი დღეც.

სხვა რაღა დამრჩენია,—უდიდე'ი მადლობა მას ჩემგან.

ძნელი სათქმელია, შემთხვევითია, ეს ორი დიდი დღის შეხვედრა ჩემს ცხოვრებაში, თუ განზრახ მოხერხებული. ქორებს მე არასოდეს პატივს არა ვსცემდი და მაშასადამე არც შემიძლია დავეთანხმო იმ მოსაზრებას, რომელიც ამ შეხვედრას განზრახ მოხერხებულათ სთვლის.

*) ვემდურით ერთმანეთს, მას შემდეგ როცა ისე უსამართლოდ გამომაგდო სამოთხიდან.

ჭიჭიკო ფშუტურაძე მეუბნებოდა გუშინ წინ:

— სოციალ-დემოკრატებს გრძელ-გრძელი ლაპარაკი უყვართ და აი ამიტომაც კონფერენციისათვის უდიდესი დღე აირჩიესო.

აშკარა ცილის წამებაა და ისიც ბურჟუაზიული ცილის წამება. მე უკვე ორ კრებას დავესწარი და ვისწრაფი უარვყო ტიტიკო ფშუტურაძის ნათქვამი. კრებაზე მხოლოდ ორიოდ ორატორია, რომელზედაც შეიძლება ითქვას: „მოკლე სიტყვა გრძელათ ითქმის, შაირია ამით გლახაო". დანარჩენები უსასტიკეს ეკონომიას ეწევიან სიტყვებისა. აი რას ნიშნავს კოოპერაციის იდეის გავლენა და სასურსათო კრიზისი.

მე მეტსაც ვიტყვი: სოციალ-დემოკრატების

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი თავისუფალი ს. დემ. კონფერენცია.



სილიბისტრო ჯიბლაძე და აკაკი ჩხენკელი. ნახატი შ. ქიქოძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი თავისუფალი კონფერენცია ს. დემოკრატებისა



მომხსენებელი „მიწის საკითხის" შესახებ ამხ. კონიევი.
(ნახატი შ. ქიქოძისა)

კონფერენციას დამაფიქრებელი ერთსულოვნება და ერთპირობა ეტყობა. უყურებ და გიკვირს: სოციალ-დემოკრატები არიან ესენი თუ სხვა ვინმე, უცხოელების. აღვნიშნავ იმ საგულისხმო ფაქტსაც რომ კრებაზე მძინარე არავინ მინახავს, რაიც ასე ადვილათ არ ითქმის დანარჩენ ჩემ მიერ ნახულ კრებათა შესახებ.

დღემდე ერთი გამუდმებული საყვედური მესმოდა ჩემი ამხანაგებისაგან, (თუმცა არც გარეშეები მაკლებდენ მას). ისინი მეუბნებოდენ:

— სირცხვილია, ამხანაგო, ეს ერთად-ერთი სახუმარო ჟურნალი გვაქვს და იმასაც გარეშე პირებს ანდომებო.

მე ყოველთვის კარგათ მესმოდა სამართლიანობა ამ საყვედურისა, მაგრამ ტაქტიკური მოსაზრებით სხვაფერ ვერ ვიქცეოდი. გარდა ამ ტაქტიკური მოსაზრებისა, მეშინოდა გარეშეებმა ამხანაგებისადმი მიკერძოება არ დიმწამონ მეთქი და მეც უმთავრეს ყურადღებას გარეშეებს ვაქცევდი.

დღეს პირობები გამოიცვალა.

ეშმაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალ-დემოკრატიულ კონფერენციაზე.



ბიქტორ თევზაია. ამხანაგებო გრიმი.. გრიმს არ შეეძლო... გრიმი...

# საიქიოში

**(შემდგომად ნიკოლოზ მეორის გარდაცვალებისა)**

სცენა I მოქ.

(სცენა წარმოადგენს ჟანდარმთა სამმართველოს საიქიოში. აუარება ჟანდარმ-ჯაშუშები ირევიან).

**პოლკოვნიკი** (ჯაშუშებს) მე ძალიან უკმაყოფილო ვარ თქვენი მოქმედებით. რევოლუციონური პარტიები თანდათან ძლიერდებიან. საფრთხე თვალწინ გვიდგას და თქვენ კი ჯეროვანად ვერ უხვდებით ამ მოვლენას! უდიდესი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტისა თქვენა გხმარდებათ და საქმე კი არსად სჩანს. რასა ჰგავს ეს? მე მოვითხოვ თქვენგან ენერგიულ მუშაობას, გესმით?

**ყველანი.** გვესმის, თქვენო აღმატებულებავ!

**პოლკოვნიკი.** ტრაფიმ! თქვენ სოციალდემოკრატიული ორგანიზაციის წევრი ხართ არა?

**ტრაფიმ.** დიახ, თქვენო აღმატებულებავ!

**პოლკოვნიკი.** კრამოლნიკებმა ეჭვი ხომ არ აიღეს შენზე?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ტრაფიმ**. პირიქით, მე მათში დიდ გავლენიან წევრად ვითვლები.

**პოლკოვნიკი**. მაშ რატომ არ დაიჭირეთ ის მეთაური გუშინ რომ მითხარით?

**ტრაფიმ**. გადაკრულში გახლდით, თქვენო აღმატებულებავ! დავაშავე, მაპატიეთ. საქმე მაინც არ წამხდარა ამით. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ჩემი სიმთვრალის გამო ის ერთ დღეს დარჩა გარეთ თავისუფლად.

**პოლკოვნიკი**. (გაჯავრებული) ჭო და ეგ თავისუფლება უნდა მოუსპოთ გესმით? ერთი დღე დიდია. ერთ დღეში ვინ იცის რამდენი კაცი გადაიბიროს! დააპატიმრეთ ეხლავე.

**ტრაფიმ**. მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

**პოლკოვნიკი**. თქვენ, ესერთა წარმომადგენელო! არც თქვენზე ვარ კმაყოფილი, გესმით?

**ესერთა ჯაშუში**. მესმის, აღმატებულებავ! ვეცდები თქვენი იმედები გავამართლო.

**პოლკოვნიკი**. თქვენ კი ფედერალისტთა უბნის ზედამხედველო, სულ ტყუილათ იღებთ ჯამაგირს. ამოდენა ხნის განმავლობაში სულ არაფერი გაგიკეთებიათ, არც ერთი კაცი არ დაგიჭირავთ. რასა ჰგავს ეს?!

**ჯაშუში**. მართალია, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ ამაში არც მე ვარ დამნაშავე. ძალიან უმოქმედო რაიონი ჩამაბარეთ, თქვენო აღმატებულებავ! მე უნარი, შნო და ნიჭი დიდი მაქვს, მაგრამ სამოქმედო ასპარეზი კი პატარაა. ამ ვეებერთელა ქვეყანაში სულ ოციოდ ფედერალისტი ძლივს გამოინახება, თქვენო აღმატებულებავ და მე ერთმა კაცმა ასე კაკალ-კაკალ სად ვეძიო ისინი! აი სოციალ-დემოკრატიულ უბანში მუშაობა მესმის. ყოველ ფეხის ნაბიჯზე წააწყდები იმათ წევრებს. მასიან., თქვენო აღმატებულებავ, არც ისეთი საშიშრები არიან ფედერალისტები.

**პოლკოვნიკი**. აბა, წაიკითხე და ნახამ რომ მათი პროგრამა ბევრით არ განსხვავდება სოციალ-დემოკრატების პროგრამისაგან. (ფედერალისტების პროგრამას გადასცემს წასაკითხად). ეს პროგრამა ისეთივე საშიშია, როგორც სოციალ-დემოკრატების, გესმით?

**ჯაშუში**. მესმის, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ ეგ მხოლოდ ქაღალდზედაა დაწერილი და სინამდვილეში კი ეგრე არ არის. მაგისი ამსრულებელი, გიმეორებთ, სულ ოციოდე კაცი თუ იქნება. მართალია პროგრამა დიდია და საშიშიც, მაგრამ ნამდვილი წმინდა წყლის ფედერალისტები, რომელიც მართლა პროგრამას იცავს ძალიან ცოტაა, თქვენო აღმატებულებავ! ოთხმოცი პროცენტი სულ თავად-აზნაურობაა თქვენო აღმატებულებავ, აი თუ ჩამოსცილდა ეს თავად-აზნაურთა რაზმი მათ პარტიას და ნამდვილი პროგრამის ამსრულებლები გაძლიერდა, მაშინ კი საშიში იქნებიან ისინიც ისე, როგორც სხვები.

**პოლკოვნიკი**. მე თქვენ გიბრძანებთ: აქტიური მომუშავენი და პროგრამის ამსრულებლები მომინახოთ,

**ჯაშუში**. მესმის, თქვენო აღმატებულებავ, მაგრამ დიოგენის ფარანი კი დამჭირდება.

**პოლკოვნიკი**. ნუ ლაპარაკობთ, იმოქმედეთ, თორემ ჯამაგირს მოგისპობთ.

**ჯაშუში**. მესმის, თქვენო აღმატებულებავ! (გადის. პოლკოვნიკი, გაედევნება ჯაშუშს გარეთ და უნდა კიდევ რაიმე დავალება გადასცეს, მაგრამ ამ დროს შეჰხედავს ქუჩაში მოსეირნე გრიგოლ რასპუტინს და დედოფალს. პოლკოვნიკი გაეშურება რა დაინახავს მათ და ფეხქვეშ დაუვარდება).

**პოლკოვნიკი**. (რასპუტინს) მუხლს ვიდრეკ თქვენს წინაშე, უფლის შემძლევ!

**რასპუტინი**. (პოლკოვნიკს) აღექით. მრწამს თქვენი ერთგულება. (დედოფალს) მომაგონეთ, რომ ეგ სტახტო ქალაქში დავნიშნო გრადონაჩალნიკათ.

**დედოფალი**. (გაკვირვებული) გრიშა, რა ამბავაა შენს თავს! ვიდაც პოლკოვნიკი და სატახტო ქალაქის გრადონაჩალნიკი?!

**რასპუტინი**. მე ასე მსურს.

**დედოფალი**. ვემორჩილები თქვენ სურვილს, ჯავარიანო ფენომენო. (დედოფალი იწერს პოლკოვნიკის ვინაობას).

**რასპუტინი**. (პოლკოვნიკს)

პოლკოვნიკო, თუ გსურთ წინ სვლა  
უნდა დაუვეთ ჩემსა ნებას,  
ეს იცოდეთ მხოლოდ მაშინ,  
ეღირსებით წარჩინებას.

—

**პოლკოვნიკი**.

თქვენ ხართ მზეი რუსეთისა  
და სასახლის გიშრის თვალი,  
თქვენს დიად ღვაწლს, უანგაროს,  
დააფასებს მომავალი.

—

თქვენ იხსენით დალუპვისგან:  
სასახლე და მეფის გვარი,

თქვენმა ლოცვამ შესძლვნა რუსეთს
ნასლედნიკი სანეტარი.

—

ვმადლობ ღმერთს, რომ ჩემმა ყურმა
თქვენი ხმაი გაიგონა,
თქვენ ფეხქვეშ ვარ, მიმსახურეთ,
თქვენი ყმა და თქვენი მონა.

—

**რასპუტინი.** (დედოფალს) არ დამავიწყოთ. ეს კაცი ნამდვილი სამინისტრო თავია.

**დედოფალი.** გრიშა, ეს მეტის-მეტია, შენმა გაზდამ. პოლკოვნიკი და მინისტრი ვის გაუგონია!

**რასპუტინი.** (მრისხანეთ) მე ასე მსურს, დედოფალო, და ასეც იქნება, გესმით?

**დედოფალი.** (დაუფაფებით) მესმის, ჯავრიანო ფენომენო.

**რასპუტინი.** მე თქვენ მაჯავრებთ, დედოფალო, მაგრამ არავის ნებას არ მივცემ რომ...

**დედოფალი** (ეხვევა). არა, გრიშა, გეხუმრე, გენაცვალე, ნუ გამირისხდები.

(ალერსით)

ნუ, ნუ სჯავრობ, გვაკურთხევი
წმინდათ—წმინდავ, მამავ ჩვენო,
გვაქეიფე, მოგვალხინე,
ჯავრიან ფენომენო.

**რასპუტინი.** დედოფალო, მე ისეთს არას მოვიმოქმედებ, რომ ჩემმა საქციელმა სახელმწიფოს მთლიანობას ავნოს. მე ამ პოლკოვნიკში დავინახე ჩემი და სახელმწიფოს ერთგული კაცი და უსათუოდ უნდა დავაწინაურო კიდეც. ეს ჩემი სურვილია და ავასრულებ კიდევაც.

**დედოფალი** (ალერსით) დიდ არს წმინდა ძალნი შენი, ფენომენო. ვემორჩილები შენს უკმეხს და უდრეკს ხასიათს (ამ დროს შემოირბენს ერთი ჯაშუშთაგანი, სრულიად აღელვებული, ფერწასული, ხელში გაზეთი უჭირავს და პოლკოვნიკს მიაშურებს).

**ჯაშუში.** დავიღუპენით, თქვენო აღმატებულებავ! პეტროგრადში აჯანყება მომხდარა' ჩვენი იმპერატორი, მამა ნიკოლოზი ტახ... ტახტი.. დან გად... მო... უ... პინ... ტრი... შებიათ...

**პოლკოვნიკი** (პირზე ხელს აფარებს). სუ, შე სულ მდაბალო! არა, ვინ გითხრა, როგორ დაიჯერე შენ ასეთი სიცრუე!!

**ჯაშუში.** გაზეთში სწერია, თქვენო აღმატებულებავ!

**რასპუტინი.** მერე, როგორ გაბედეს გაზეთში ასეთი კადნიერება! პოლკოვნიკო, ეს რა ამბავია, სად არის ცენზურა?!

**პოლკოვნიკი** (გაოცრებული რასპუტინს) არა შესამის რა, მზეო რუსეთისაო!

**ჯაშუში** (რასპუტინს) ხვთის რისხვა და მესა დასცემიათ იმ ქვეყნად ჩვენს მოძმეებს, დედოფალთა სანეტარო. მეფე დაუპატიმრებიათ, მინისტრები პეტრეპავლეს სატუსაღოში მოუთავსებიათ, სათავეში სულ საკატორღო სოციალისტები მოჰყვნენ, ჯარი და ფლოტი მათ ემორჩილება, მთელი იმ ქვეყნის მართვა-გამგეობა კრამოლნიკების ხელშია თურმე! სტოლიპინის ძეგლი დაუნგრევიათ, თქვენი სათლავი გადაუთხრიათ, თქვენი დიდებული გვამისთვის მაზუტი დაუსხამთ და ისე ამოუხრუკავთ. დედოფალი ალისაც დაჭერილია თურმე! ოი, ღმერთო ჩემო! ჯავრიანო ფენომენო, დედოფალთა სანეტარო, ამ ქვეყანაში მაინც მარჯვეთ ვიყოთ, რომ აქაც არ განმეორდეს აჯანყება და არ მოგვესპოს სიამოვნება.

**რასპუტინი** (შეწუხებული). არა, როგორ გაბედეს ჩემი სათლავის ხელის ხლება, ალისას დატყვევება?! მე იმათ სუყველას დავახრჩობ, დავწვავ. არა, ვინ გაბედა ასეთი თავხედობა, ვინ შეურაცხყო ჩემი ალისა, ვინ! (ფიქრის შემდეგ) მაგრამ მე ხომ ეხლა მკვდარი ვარ და იმ ქვეყნად ვედარ მივაწვდენ ხელს. ახ, ერთი ჩემ იქ ყოფნის დროს გაებედნათ რამე და მე ვაჩვენებდი იმათ სეირს. პოლკოვნიკო, საქმე ცუდათ არის. ეცადეთ აქ მაინც გავიმაგროთ ზურგი. (ამ დროს ჟანდარმებს მოჰყავთ რამდენიმე დატყვევებული სოციალისტები).

**ჟანდარმი** (პოლკოვნიკს). შეთქმულება აღმოვაჩინე, თქვენო აღმატებულებავ! გაუგიათ რომ იმ ქვეყნად მეფე რომანიშვილი დამარცხებულაო და აქაც ჰსურთ მიჰბაძონ იმ ქვეყნის მაგალითს.

**პოლკოვნიკი.** ახლავე ჯურღმულში ჩაჰყარეთ, რომ ნათელი ვერ დაინახონ.

**რასპუტინი.** პოლკოვნიკო! ხვალვე აი აქ ჩამოჰკიდე ოკებზე ყველანი თხასავით. (დაჭერილებს) მე თქვენ გაჩვენებთ შეთქმულება როგორი უნდა!

**დედოფალი** (წუწუნით). საცოდავი ალისა, რა დღეში იქნება ახლა! ღმერთო ჩემო, ნუ თუ აქაც; ჩვენც ის დღე მოგველის! (რასპუტინს მიუერდნობა) გრიშკა, მიშველე, თავბრუ მესხმის... (პოლკოვნიკს) დაახრჩეთ ყველა კრამოლნიკები, რომ მათმა შემხედვარებმა ურჩობა ვერავინ გაბედოს.

**რასპუტინი** (დედოფალს). ნუ გეშინიან, დედოფალო, იქ, სადაც მე ვარ, ურჩობას ვერავინ გაბედავს. (პოლკოვნიკს) ეგ პატიმრები პეტრე-პავლეს საპყრობილეში ჩაყარეთ, ხოლო დანარჩენებზე ახლავე დაგზავნეთ ჟანდარმ-ჯაშუშთა რაზმი და ყველა ოდნავ შენიშნული პირი დააპატიმრეთ, რომ წყარო სათავეში, რაც შეიძლება, ჩქარა დავაშროდ.

**პოლკოვნიკი**. მესმის, ყოვლის შემძლებელო!

**დედოფალი** (სუსტდება) გრიშკა, მიშველე... მიშ... (დედოფალს გული უწუხდება, რასპუტინი თავზე ხელს უსვამს დედოფალს და ჰკოცნის) ნუ გეშინიან, ნუ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო მშვენიერო დედოფალო.

**ჯაშუში** (შემოირბენს ფერწასული, ძლივს ლულუდებს და მიჰმართავს რასპუტინს). ჯავარიანო ფენომენო! ნიკოლოზი მობძანდება, დედოფალი.,.

**რასპუტინი** (ყვირილით) რას მიჭქარავ, შე ვირო, არა, როგორა ჰბედავ ასეთ ტყუილს?

**ჯაშუში**. აი ბატონო, მობრძანდნენ კიდეც...

**რასპუტინი**. სტყუი, შე ვირო! ნიკოლოზი და ასე ჩუმად!! მერე ამალა?! ნუ თუ ნიკოლოზი ასე ურუთ მობძანდება! არა, მაგას არ დავიჯერებ, ტყუილია. (დედოფალს ეხვევა და ჰკოცნის).

**დედოფალი**. მიშველე, გრიშკა, ტახტი შემარჩინე, დატრიალდი გრიშკა შენებურად, თორემ ვიღუპებით.

**რასპუტინი** (ჰკოცნის) ნუ გეშინიან; დედოფალო, სად მე ვიქნები, იქ თქვენ არაფერი საფრთხე არ მოგელით.

**ჯაშუში** (რასპუტინს). ყოვლის შემძლევ! იმპერატორი ნიკოლოზი მობრძანდება. (შემოდის ნიკოლოზ რომანიშვილი თავისი მეუღლით. რა დაინახავს რასპუტინს, რომ დედოფალს ეხვევა და ჰკოცნის. მივარდება რასპუტინს).

**ნიკოლოზი**. არა, შე მაწანწალავ, იმ ქვეყნად წაბილწე მთელი სასახლე და ამ ქვეყნადაც შენსას არ იშლი!! მე შენ დაგახრჩობ, შე გაიძვერავ შენა!

**ალისა** (უყვირის ნიკოლოზს). რას შვრები კოლია! ვის უბედავ შეურაცყოფას! გრიშკა, რომელმაც გაამაგრა და დაამკვიდრა ჩვენი ტახტი, გრიშკა, რომელმაც მოსპო შური და მტრობა დედოფალ-მთავრიანათა შორის და სამუდამოთ დაამშვიდა და დაატკბო მათი გული, ნუ თუ შეურაცყოფის ღირსია! (რასპუტინს) გრიშკა, ჩემო ჯავარიანო ფენომენო, შენ გენაცვალე! მადლობა ღმერთს, რომ მეღირსა შენი ნახვა. (ჩაეკონება. ნიკოლოზი, რა დაინახავს ამ სურათს, გამხეცებული მივარდება რასპუტინს) ოხ, შე ჩემო დამღუპველო, ჩემო ოჯახის შემარცხვენელო. კბილით დასაგლეჯათ არ დაგინდობ, შე მაწანწალავ!

**რასპუტინი**. ნუ განგირისხდები მეფეო!

**ნიკოლოზი**. განმირისხდები კი არა, კბილებს დაგამტვრევ, შე არამზადავ შენა. შენ შემაცდინე კაცი, შენ ჩამომაგდე ტახტიდან, შენ ამყარე პაგონები. (ამ დროს მოისმის აჯანყებულ რევოლიუციონერთა სიმღერა. მეფე განცვიფრდება, პოლკოვნიკი და ჟანდარმ-ჯაშუშები იარაღით გაცვივდებიან. რასპუტინი პიტირიმს ეძახის და ლოცვა კურთხვასა სთხოვს. რევოლიუციონური სიმღერა თანდათან ძლიერდება.

**ნიკოლოზი**. ღმერთო ჩემო, აქაც! აქაც აღარ მასვენებენ! (დედოფლებს გული წაუვათ, რასპიტინი გაშტერებული სდგას) რა ვქნა, სად გადავარდე, სად! (ისმის ძლიერი სიმღერა: „ზურგი ვაქციოთ ბელადათ-წესებს!!.) სად არის მინისტრები, ჯარი, პოლიცია! ღმერთო ჩემო, ყველანი გამიდგნენ! (მივარდება რასპუტინს) ეს სულ შენ მიქენი, შენ! შე მაიმუნო, შე გარყვნილო შენა! (გადმოათრევს რასპუტინს და წიხლით შესდგება. დედოფალი ალისა ყვირის).

**ალისა**. კოლია, ვის უბედავ შეურაცყოფას! ჩემს მზეს, ჩემს მთვარეს?! ღმერთო ჩემო! (რასპუტინს ეხვევა).

**ნიკოლოზი** (წიხლს დაახელს ალისას) სულ შენი ბრალია ყველაფერი, შე საზიზღარო, შე მოღალატევ შენა! (სიმღერა ძლიერდება, ხალხი უახლოვდება, ნიკოლოზი სასოწარკვეთილი სდგას). რა ვქნა, რომელ ქვეყანაში გადავარდე, რომ მოვისვენო. აქაც, აქაც აღარ მასვენებენ. (ხალხი შემოერტყმის) მიშველეთ, მიშველეთ!

**ხალხი**. ძირს საზიზღარო მთავრობა! ძირს გაიძვერა მეფე!

**ნიკოლოზი**. ღმერთო ჩემო! სად არის პროტოპოპოვი, შჩეგლოვიტოვი, ვოლკოვი, ივანოვი! ოხ, რა ვქნა, სად გადავარდე, მიშველეთ! (ხელებს აღაპყრობს). ღირსეულო, მამა პიტირიმ, მიშველე, გამოაჩინე ძალნი შენნი და სიწმინდე შენნი...

**ხალხი**. ძირს საზიზღარო მეფე! გაუმარჯოს ხალხს! (მარსელიოზა).

(ფ ა რ დ ა).

გოგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი თავისუფალი კონფერენცია სოც. დემოკრატიული საოლქო რაიონებისა.



1) ნოე ხომერიკი. 2) ლადო ახმეტელაშვილი. 3) კოწია გვარჯალაძე. 4) გერასიმე მახარაძე.

ნახატი შალვა ქიქოძისა

# შეცდომის გასწორება

მე რომ ახლო მომავალში ბათუმისკენ გასეირნება არა მჭიროდეს, სრულიადაც უყურადღებოთ დავსტოვებდი ამხ. მეტრანპაჟის მიერ ჩადენილ მიუტევებელ შეცდომას.

პირველ ყოვლისა თქვენ იკითხავთ, თუ რა კაცია ეს „მეტრანპაჟი“ და მეც ამიტომ მსურს მისი განმარტება. მეტრანპაჟი ის კაცია, რომელიც ზოგჯერ ჩვენი ჟურნალის გვერდებს აურევს ხოლმე, ე. ი. მეორე გვერდის ალაგას მეხუთეს გაუშვებს, მეხუთის ალაგას მეცხრეს და ასე ბოლომდის. აქვე უნდა შევნიშნო, რომ მეტრანპაჟის მოვალეობაში არ შედის ეს საქმე და თუ მაინცა და მაინც ეწევა ამ ზედმეტ შრომას, ეგ რასაკვირველია საქმის სიყვარულითა და იუმორისტული მიზნით მოსდის.

რაიცა შეეხება წერილების არევ-დარევას, ეგ პირდაპირ თანამშრომლებისა და ამხ. რედაქტორის ბრალია, რასაც პირნათლად ასრულებენ ყველანი.

დღევანდელი შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ამხ. მეტრანპაჟმა დაუმალა ბათუმის საზოგადოებას მისდამი ჩაბარებული, ეშმაკის ხელოვნური კალმით ნაწერი სურათი ამხანაგი გრიგოლ სოლორაშვილისა.

ზოგიერთა დაუძინებელნი მტერნი ბეჭდვითი სიტყვის საქმისა ამ მოვლენას განზრახ ჩადენილათ სთვლიან, მაგრამ პირუთვნელი გამოკვლევის შემდეგ ამ საქმეში აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ ბრმა შემთხვევის ხელი. აი ამიტომ ვიჩქარით გავასწოროთ უნებლიეთი შეცდომა ამხ. მეტრანპაჟისა და გამოვააშკარაოთ იშვიათი სურათი ძვირფასი ამხანაგის გრ. სოლორაშვილისა.



გრიგოლ სოლორაშვილი

უმჯობესია გვიან, ვიდრე არასოდეს.

რედაქცია.

---

**შენიშვნა**: როგორც ხედავთ რედაქცია ჩემს წინააღმდეგ ორ მძიმე ბრალდებას აყენებს: ჟურნალის გვერდების გაშვების დროს ანარქისტობას, ხოლო „სურათების სფეროში“ სპეკულიანტობას. პირველ ბრალდების, ამ „ტყვის გვერდების“, სწორედ გაშვების მთელ სიმძიმეს მე სულაც არ დავიდგნობ, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში (გვერდების მამოძრავებელ ძალად ამხანაგი მემანქანე*) ითვლებოდა. მეორე ბრალდების შესახებ საშინელ პროტესტს ვაცხადებ. ზემოაღნიშნულ წერილში აღნიშნულია, ვითომ მე გრ. სოლორაშვილის სურათი რომელიმე უჯრის კუთხეში გადამემალოს და მით „ეშმაკის მათრახის“ სურათების „ხელოვნური კრიზისი“ გამომეწვიოს. საჯაროთ ვაცხადებ, რომ ეს სრული ცილისწამებაა. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ამ ერთი გვერდის მასალა, რომელიც დღეს აღნიშნულ სურათს უჭირავს, ხომ ეხლაც საზრუნავი იქნებოდა.

ნუ თუ ეკონომია სპეკულიანტობაა.

მეტრამპაჟი.

*) თუ მართლაც, გვერდების არევ-დარევა მემანქანის საქმეა და არა მეტრანპაჟისა, მაშინ ჩვენც საქმე მხოლოდ მემანქანის გვერდებთან გვექნება.

რედაქცია.

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა